სამშობლო ქვეყანამ, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ დიდი ზეიმით აღნიშნა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, ყველა ქვეყნის მუშათა ერთობისა და ძმობის დღე — 1 მაისი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 86 (3063)

4 მაისი 1966 წ.

ოთხშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი



# მთელმა პლანეტამ იზეიმა

წლევანდელი 1 მაისი ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო. სწორედ დღესასწაულის წინ საქართველო მეშვიდედ დაჯილდოვდა ცენტრალური სპორტკავშირის გარდამავალი წითელი დროშითა და საპატიო სიგელით. ჯილდოს პასუხად, ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელთა ასი ათასიანმა არმიამ გადაწყვიტა უფრო მეტი წარმატებები მოიპოვოს, ძალა არ დაიშუროს, რომ კარგად გამოვიდეს სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში.

* * *

საკდესის მიერ გამოგზავნილი ეს სურათები მოსკოვის საპირველმაისო დღესასწაულისას წითელ მოედანზე ფიზკულტურელთა გამოსვლებზე მოგვითხრობენ. მარჯვენა ქვემო სურათზე თქვენ ხედავთ მეტალურგთა ქალაქის — რუსთავის ფიზკულტურელებს საპირველმაისო ზეიმზე. ეს ფოტო რ. გაბრიჭიძემ გადაიღო.



## უკანასკნელი საათი...

ა. მეტრეველი იტალიის ჩემპიონატის სტარტზე

„ვარსკვლავები" ღია ცის ქვეშ...

ოლიმპიური ჩემპიონი ფორმაშია

მამის კვალზე

სადაურსა სად წაიყვან...

◆ **რომი**, 3 მაისი. ბოლონიაში უხეიროდ გამოსვლის შემდეგ (იტალიელებთან მარცხი დევისის თასის პირველივე მატჩში — 1:4) საბჭოთა ჩოგბურთელები მასპინძელთა ღია ჩემპიონატში ჩაებნენ. შეჯიბრებაში მონაწილეობს 28 ქვეყნის 150-ზე მეტი სპორტსმენი. პირველ შეხვედრაში თბილისელმა ა. მეტრეველმა მოუგო იტალიელ ჩიაიზეს (6:2, 6:1, 6:2), ხოლო ლენინგრადელმა ა. ივანოვმა — მეორე იტალიელს კასტილიანოს (6:8, 6:4, 8:6, 7:5).

◆ **უოლნატი** (კალიფორნია), 3 მაისი. ამერიკული მძლეოსნობის „ვარსკვლავები" რ. ბოსტონი და ჰ. კონოლი წლეულს პირველად გამოვიდნენ ღია ცის ქვეშ საასპარეზოდ. ბოსტონმა ყველას აჯობა სიგრძეზე ხტომაში (803 სმ), ხოლო კონოლი II ადგილს დაჯერდა, — ურო 66,57 მეტრზე ტყორცნა. ამ სახეობაში გაიმარჯვა ე. ბურკემ — 68,25 მ. ჭოკით ხტომაში ჯ. პენელმა და ს. კირკმა ერთნაირი სიმაღლე დაძლიეს — 518 სმ. დახურული დარბაზებისთვის სამხტომში მსოფლიო მიღწევის (16,70 მ) ავტორი ა. უოკერი 16,41 მეტრზე გადახტა.

◆ **დე მოინი** (აიოვას შტატი), 3 მაისი. მსოფლიო რეკორდსმენმა რ. მეტსონმა ბირთვი კრა 19,90 მეტრზე, ხოლო ახალგაზრდა ჯ. ჰარტფილდმა სიმაღლეზე ხტომაში აჩვენა 209 სმ.

◆ **მილანი**, 3 მაისი. საპირველმაისო ტრადიციულ 30-კილომეტრიან გარბენში ყველას აჯობა 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ა. პამიჩმა (იტალია) — 2:32.40,4.

◆ **ლონდონი**, 3 მაისი. ჩოგბურთელთა აქ გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება იზეიმა ინგლისის იუნიორთა ჩემპიონმა, სახელგანთქმული ფეხბურთელის სტენლი მეტიუზის 20 წლის ვაჟმა, სტენლი-უმცროსმა. ერთეულთა შეჯიბრების ფინალში მან მოუგო ავსტრალიის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს ა. სტოუნს — 6:4 8:6.

◆ **დებრეცენი**, 3 მაისი. ადგილობრივი სტადიონის წიდიან ბილიკზე გამართული საერთაშორისო მოტორბოლა მოიგო უფელმა ფ. შაინუროვმა.





# კვლავაც წარმატებით ვევლოთ!

სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ, რომელმაც სამაისოდ შეაჯამა სსრ კავშირის ფიზკულტურულ კოლექტივებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის უკეთ დაყენებისთვის გაშლილი საკავშირო დათვალიერების შედეგები, იმ საწარმოთა კოლექტივების ჯგუფში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 1000-დან 5000-მდეა, გამარჯვებულად სცნო ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის, ხოლო პროფტექსასწავლებლების ჯგუფში — თბილისის მ. თოიძის სახელობის მე-11 სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურული კოლექტივები და მათ 1 ადგილები მიაკუთვნა.

ყოველი გამარჯვებული კოლექტივი დაჯილდოვდა გარდამავალი წითელი დროშით, დიდი სამახსოვრო მედლით, სპორტკავშირის საპატიო სიგელითა და სპორტინვენტარით.

## დიდი გადაჭარბებით

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ფიზკულტურულმა კოლექტივმა შარშან ნაყოფიერად იმუშავა. დირექციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით აქ დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმისა და თვითვალდებულების ყველა მაჩვენებელი. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ქუთაისელმა მეაბრეშუმეებმა ივალდებულეს: ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში, სპორტში მიეზიდათ 2500 კაცი, „განთიადის" წევრთა რიცხვი გაეზარდათ 2050-მდე, მოემზადებინათ 1 სპორტის ოსტატი, 7 პირველი და 211 სხვა თანრიგების სპორტსმენი.

და აი, როცა შეჯამდა გასული წლის შედეგები, აღმოჩნდა, რომ ფიზკულტურელთა რიცხვმა 2590-ს, ხოლო საზოგადოების წევრთა რაოდენობამ — 2112-ს მიაღწია. 100 პროცენტით განაღდდა საწევრო ანარიცხების აკრეფის გეგმა, მომზადდა 2 სპორტის ოსტატი, 20 პირველი და 389 სხვა თანრიგების სპორტსმენი. კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა 5,4 პროცენტმა ჩააბარა მშთ ნორმები, საწარმოო ტანვარჯიშში მეცადინეობს თანამშრომელთა 36,1 პროცენტი, ხოლო სხვა სახის ზოგადგამაჯანსაღებელ ღონისძიებებში 858 კაცი მონაწილეობდა.

აქაურ მეაბრეშუმეებს არც საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების აღზრდაში შეურცხვენიათ თავი: შარშან მოამზადეს 302 ფიზორგი, საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მსაჯი. მეაბრეშუმეები აქტიურად მონაწილეობდნენ ქუთაისის საქალაქო და „განთიადის" რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

გუშინ ჩვენი რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ქუთაისის აბრეშუმის კომბინატს. ტელეფონთან მოვიდა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ბაკურაძე. ჩვენ გამარჯვება მივულოცეთ და კომბინატის კოლექტივს შრომასა და სპორტში ახალი წარმატებები ვუსურვეთ.

— მთელი კოლექტივის სახელით მადლობას მოგახსენებთ. ჩვენ კვლავაც ვიბრძოლებთ შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ მონაპოვარი, ახლა კი ენერგიულად ვემზადებით საქართველოს IV სპარტაკიადისთვის, — გვიპასუხა ბაკურაძემ.

## სსრ კავშირში პირველმა

თბილისის მ. თოიძის სახელობის მე-11 სამხატვრო პროფტექსასწავლებლის ფიზკულტურული კოლექტივი წლების განმავლობაში სჭიდდა ამ წარმატებას. აქ ადრე აღზრდილი ნიჭიერი სპორტსმენები საზოგადოებრივ საწყისებზე სათავეში ჩაუდგნენ სექციებს და მათში ყველა მოსწავლე მიიზიდეს. დირექციის მხარდაჭერით ისინი რეგულარულად მართავდნენ შეჯიბრებებს, გამოდიოდნენ საქალაქო და „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკურ ტურნირებში, სადაც ხშირად საპრიზო ადგილებსაც ეპატრონებოდნენ. განსაკუთრებით ნაყოფიერად საქმიანობს ტურიზმის მოყვარულთა ჯგუფები, რომლებმაც ბევრი საინტერესო ღონისძიება მოაწყეს.

წარმატებები თანდათან გამრავლდა და ფიზკულტურელებმა საკავშირო სარბიელზეც გაბედეს გასვლა — ჩაებნენ ყოველწლიურ დათვალიერებაში, რომელიც მიზნად ისახავს გამოავლინოს ჩვენი ქვეყნის ის საუკეთესო კოლექტივები, სადაც ყველაზე უკეთაა დაყენებული ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობა.

ჩვენს ქვეყანაში ათასობით პროფტექსასწავლებელია. ცხადია, მათთან ჭიდილში გამარჯვება იოლი საქმე როდია, მაგრამ, როგორც ნახეთ, თბილისელებმა იმარჯვეს — კონკურსის ყველა პუნქტში ისახელეს თავი: შარშან ერთის ნაცვლად აღზარდეს 2 სპორტის ოსტატი, 13-ის ნაცვლად — 35 პირველთანრიგოსანი, 50-ის მაგიერ — 192 მეორეთანრიგოსანი და სხვ. 335-მა მოსწავლემ მიიღო „სსრ კავშირის ტურისტის" ნიშანი, ხოლო 870-მა — საზოგადოებრივი მსაჯის, მწვრთნელის, ან ფიზორგის წოდება. და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ამ სასწავლებელმა სსრ კავშირში პირველმა შეძლო ყველა კურსდამთავრებულს ჩაბარებული ჰქონოდა მშთ კომპლექსის ნორმატივები.

კოლექტივი სიხარულით შეხვდა ცნობას საკავშირო დათვალიერებაში გამარჯვების შესახებ. „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. კირვალიძემ გვაცნობა:

— თოიძელთა სიხარულს იზიარებენ მთელი ჩვენი კოლექტივი, საქართველოს ქალაქებისა და სოფლების ყველა პროფტექსასწავლებლის ფიზკულტურელები.

**ქუთაისის აბრეშუმის კომბინატისა და თბილისის მ. თოიძის სახელობის მე-11 სამხატვრო პროფტექსასწავლებლის ფიზკულტურული კოლექტივები — ავანგარდში!**

## ტურნირის მთავარი სენსაცია

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ჩილის კალათბურთის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც სამართლიანად უწოდებდნენ მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატს. მთავარი სენსაციის ავტორები იუგოსლაველები არიან, რომლებმაც ბოლო მატჩში დაამარცხეს ესპანეთის გუნდი (68:65) და ტურნირში I ადგილი გაინაღდეს. სხვათა შორის, ამაში მათ სსრ კავშირის ნაკრებიც „დაეხმარა", რომელმაც ბოლო თამაში ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელებთან 2 ქულის სხვაობით წააგო — 73:75.

აი, როგორ წარიმართა ეს დრამატული მატჩი. სტარტიდან საბჭოთა კალათბურთელები დაწინაურდნენ. სწრაფ გარღვევებს წარმატებით აგვირგვინებდნენ ივანოვი, ლიპსო, პაულაუსკასი და საკანდელიძე. ერთ მომენტში ჩვენები 8 ქულითაც დაწინაურდნენ (13:5), მაგრამ ტაიმი ამერიკელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 34:33.

შესვენების შემდეგ ბრძოლამ ახალი სიმძლავრით იფეთქა. და აი, ამ კრიტიკულ ვითარებაში ამერიკელმა კალათბურთელებმა ბრწყინვალე ოსტატობა გამოავლინეს: ისინი 5 ქულით გავიდნენ წინ. ბრძოლის სიმძაფრემ კულმინაციას მიაღწია. თამაშის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ანგარიში საბჭოთა კალათბურთელების სასარგებლოდაა — 68:67. მაგრამ აი, ბრწყინვალედ მოთამაშე სერჯენტმა რამდენიმე ზუსტი სროლით გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

სატურნირო ცხრილში ადგილები ასე განაწილდა: 1. იუგოსლავია, 2. აშშ, 3. სსრ კავშირი, 4. ბულგარეთი, 5. ბრაზილია, 6. ესპანეთი, 7. ჩილი.

ჩილის ტურნირს ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელები განიხილავდნენ როგორც მსოფლიო პირველობისა და მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისს. მათ სწორედ ამიტომ რამდენიმე უძლიერესი მოთამაშე (ვოლნოვი, ტრავინი და სხვ.) არ შეიყვანეს ნაკრების შემადგენლობაში, რათა ახალგაზრდებს ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაში წრთობის საშუალება მისცემოდათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დებიუტანტებმა მოლოდინი გაამართლეს: ჩილის ტურნირი მათთვის შესანიშნავი სკოლა იყო.

ჩვენს გუნდში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ლიპსომ, პაულაუსკასმა, საკანდელიძემ, ივანოვმა და კულკოვმა. მათ მთელი ტურნირი თანაბრად, მაღალ დონეზე ჩაატარეს. ნაკრების შემადგენლობაში სასარგებლო „აკლიმატიზაცია" მიიღეს მედვედევმა, ტომპსონმა, სელიხოვმა.

ამერიკის შეერთებული შტატების II ადგილს ამ ქვეყნის პრესა შეშფოთებული შეხვდა. მართალია, სანტიაგოში არც კალათბურთის სამშობლომ მიავლინა უძლიერესი გუნდი, მაგრამ გამარჯვებას მაინც ვარაუდობდა. ერთადერთი, რამაც ჟურნალისტებს გული მოუქონა — სსრ კავშირის ნაკრებთან მატჩში გამარჯვება იყო. ეს მატჩი კი შეერთებული შტატების ნაკრებმა მართლაც ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა.

ჩვენი კალათბურთელების ტურნე ამერიკაში გრძელდება, ოღონდ ამჯერად ისინი სამხრეთისკენ გადაინაცვლებენ — რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავენ ჯერ არგენტინაში, შემდეგ კი — ურუგვაიში.

## X პარტია

# ბრწყინვალე გამარჯვება

**მოსკოვი**, 3 მაისი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). გუშინ ესტრადის თეატრში შედგა პეტროსიან—სპასკის ორთაბრძოლის X პარტია.

როცა სპასკიმ ძველინდური დაცვა გაითამაშა, ნათელი გახდა, რომ მოსალოდნელია მოურიდებელი ბრძოლა. მეტოქეებმა მიმართეს რთული დებიუტის იმ სისტემას, რომელიც ათიოდე წლის წინათ დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მისი (შავებით) დიდი თაყვანისმცემელი თვად მსოფლიო ჩემპიონი გახლდათ. შეიძლება ამიტომაც შეაჩერა სპასკიმ თავისი არჩევანი ამ სისტემაზე.

ორივე მხარე მე-14 სვლამდე გატკეპნილ ბილიკებს მიჰყვებოდა. სპასკიმ შემტევი პოზიცია მიიღო და შეუფერხებლად მიჰყო ხელი ლაზიერის ფრთაზე ცნობილი გარღვევის განხორციელებას... მაგრამ პეტროსიანმა მიაგნო პოზიციის განმუხტვის გეგმას: გაცვალა პაიკები და შავების ყველაზე მეტად საშიში შემტევი ფიგურა — შავუჯრედოვანი კუ. თამაში გათანაბრდა.

მაგრამ მე-19 სვლით სპასკიმ კვლავ „ცეცხლი წაუკიდა" პარტიას, მისი იერიში მართლაც ძალიან სახიფათო ჩანდა. ასეთ პოზიციებში მსოფლიო ჩემპიონი, საერთოდ, აუღელვებლად თამაშობს. მან ღრმად შეაფასა ორივე მხარის შესაძლებლობა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ენერგიული კონტრშეტევით შეიძლებოდა შავი მეფის დალაშქვრა. ის, რაც მომდევნო 10 სვლის მანძილზე მოხდა, ბევრისმეტყველია.

პეტროსიანისთვის უცხო როდი ყოფილა ტალისებური იერიში და შეწირვები. მან ორჯერ შესწირა ხარისხი სპასკის და ხაზების გახსნით მიწვდა მის მეფეს. და, ბოლოს, ლაზიერის ეფექტური შეწირვით აიძულა მეტოქე დანებებულიყო.

ბრწყინვალე გამარჯვებაა!

აი, ეს პარტიაც:

**პეტროსიანი — სპასკი**

1. მf3 მf6 2. g3 g6 3. c4 კg7 4. კg2 0—0 5. 0—0 მc6 6. მc3 d6 7. d4 a6 8. d5 მa5 9. მd2 c5 10. ლc2 e5 11. b3 მg4 12. e4 f5 13. ef gf 14. მd1 b5 15. f3 e4 16. კb2 ef 17. კ:f3 კ:b2 18. ლ:b2 მe5 19. კe2 f4 20. gf კh3.



21. მe3 კ:f1 22. ე:f1 მg6 23. კg4 მ:f4 24. ე:f4 ე:f4 25. კe6+ ეf7 26. მe4 ლh4 27. მ:d6 ლg5+ 28. მფh1 ეa7 29. კ:f7+ ე:f7 30. ლh8+ შავები დანებდნენ.

ამრიგად, ორთაბრძოლის ანგარიში გახდა 6:4 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ. 4 მაისს შედგება XI პარტია.



პარტია ეს-ესაა დამთავრდა. და როგორც მოჭადრაკეებს ჩვევიათ, ტ. პეტროსიანი (მარჯვნივ) და მატჩის მთავარი არბიტრი, ბელგიელი დიდოსტატი ა. ო'კელი, ანალიზს უკეთებენ პარტიის ერთ-ერთ კრიტიკულ პოზიციას.

მსოფლიო ჩემპიონს არ მოსწონს რომელიღაც სვლა. ამას თვალნათლივ „გვეუბნება" მისი სახის გამომეტყველება. საინტერესოა, რომ ტ. პეტროსიანს ჩვეულებად აქვს სახით „ლაპარაკი". ვინც ეს იცის, უშეცდომოდ შეუძლია ამოიკითხოს ჩემპიონის აზრები... პარტიის გარჩევისას.

ფოტო ბ. ტუროვისა.

## ჩემპიონის წინააღმდეგ

ამ დღეებში თბილისის „დინამოს" სტადიონის სათადარიგო მინდორზე მოეწყო ორი მატჩი რეგბში. 30 აპრილს თბილისის ჩემპიონატის II ტურის პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „დინამო" I და „ლოკომოტივი". როგორც ცნობილია, პირველ წრეში დინამოელებმა მინიმალური უპირატესობით მოუგეს რკინიგზელებს. ამჯერად ბრძოლა დინამოელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 25:0. მატჩის გმირი გახლდათ გუნდის კაპიტანი ი. კიზირია, რომელმაც კოლექტივს 12 ქულა შესძინა.

გუშინწინ რკინიგზელთა წინააღმდეგ თამაშობდა სსრ კავშირის პროფკავშირთა ჩემპიონი — მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივი. საქალაქთაშორისო მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. შესვენებამდე ერთგვარი უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო (5:3), მაგრამ თამაშის განახლების შემდეგ „ლოკომოტივმა", რომელიც რამდენიმე მოთამაშით იყო გაძლიერებული, ზედიზედ შეუტია მეტოქის კარს და უკვე შუა ტაიმში საგრძნობლად დაწინაურდა — 20:8. შემდეგ ისევ სტუმრები გააქტიურდნენ, მაგრამ დამარცხებას მაინც ვერ გადაურჩნენ. გაიმარჯვა „ლოკომოტივმა" — 25:23.

დღეს მოსკოველი რეგბისტები „დინამოს" სათადარიგო სტადიონზე მეორე შეხვედრას გამართავენ. ამჯერად ისინი ეთამაშებიან თბილისის „დინამოს". დასაწყისი 18 საათზე.

ე. ქელბაქიანი.

## გუშინ...

**თბილისში**, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, მოხდა საქართველოს ჩემპიონის სახელზე ბუსლაევ — ჯინჯიხაშვილის მატჩის გუშინწინ გადადებული V პარტიის დამთავრება. ჯინჯიხაშვილმა ზუსტი თამაშით პარტია მოგებამდე მიიყვანა. ამრიგად, ანგარიში გახდა 3:2 რ. ჯინჯიხაშვილის სასარგებლოდ. დღეს შედგება VI პარტია.

## ახალი ამბები

● **მოსკოვი, 30 აპრილი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ფინალურ მატჩში წარმატება კვლავ ცსკა-ს ფრენბურთელ ქალთა გუნდმა იზეიმა: ისევე როგორც პირველ შეხვედრაში, მან ანგარიშით 3:0 დაამარცხა თასის შარშანდელი მფლობელი — მოსკოვის „დინამო". აღსანიშნავია, რომ არმიელი ქალები ამ გათამაშებაში პირველად მონაწილეობდნენ.

● კასაბლანკა, 2 მაისი. პირველი საერთაშორისო მატჩი გამართეს მაროკოში იევსკის „ზენიტის" ფეხბურთელებმა. ისინი შეხვდნენ ადგილობრივი „რაჯის" გუნდს და გაიმარჯვეს — 1:0.

● **მოსკოვი, 2 მაისი.** აქ გაიმართა ტრადიციული, 39-ე მძლეოსნური ესტაფეტა გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვას" პრიზზე. გუნდურ ჩათვლაში მეჩვიდმეტედ გაიმარჯვეს დინამოელებმა. ძმები ს. და გ. ზნამენსკების პრიზი ყველაზე გრძელი ეტაპის (1100 მ) მოგებისთვის მიიღო ბურევესტნიკელმა ს. სიმბირცევმა.

● **ბუდაპეშტი, 2 მაისი.** ესპადრონში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის I გათამაშებაში საბჭოთა „დინამომ" (ი. რილსკი, ნ. ასათიანი, მ. საზვაძე, ე. ვერენჩუკი და ვ. ნიკიტინი) ნახევარფინალში წააგო უნგრეთის „ჰონვედთან" — 4:9. თასი დაისაკუთრეს უნგრელებმა, ხოლო საბჭოთა მოფარიკავეები საბოლოოდ III ადგილით დაკმაყოფილდნენ.

● ჰავანა, 2 მაისი. აქ მოეწყო რსფსრ-სა და ადგილობრივ ტანმოვარჯიშეთა სამატჩო შეხვედრა. გაიმარჯვეს სტუმრებმა: ქალებში — ა. დემიანენკომ, ვაჟებში — ი. სტოიდამ. საბჭოთა სპორტსმენები კიდევ რამდენიმე ქალაქში გამოვლენ.

● **ორჯონიკიძე, 2 მაისი.** აქ გაიმართა რსფსრ-სა და კუბის მოჭიდავეთა ასპარეზობა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 6:2.

# სპორტული მაისი

მაისი სპორტული მოვლენებითაა მდიდარი. გაზაფხულის ამ ბოლო თვეს საბჭოთა სპორტსმენები 50 ქვეყნის წარმომადგენლებთან 66 საერთაშორისო შეჯიბრებაში იასპარეზებენ. განსაკუთრებულ გაწამაწიაში იქნებიან საბჭოთა მოჭიდავეები: დასავლეთ გერმანიის ორ ქალაქში — კარლსრუესა და ესენში მალე ხომ ევროპის ჩემპიონატები გაიმართება თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ხოლო კონტინენტის უძლიერესი ძიუდოისტები თავიანთ პირველობაზე შეიკრიბებიან ლუქსემბურგს.

27 მაისს ვარშავაში დაიწყება კლასიკურ მოჭიდავეთა ტრადიციული ტურნირი სახელგანთქმული პოლონელი ათლეტის ვ. პიტლიასინკის სახელობის პრიზზე. ტურნირში ჩვენი ათლეტებიც მონაწილეობენ.

2 მაისს პრაღაში სტარტი მიეცა მშვიდობის XIX ველორბოლას. დაიწყო საინტერესო, დაძაბული ბრძოლა ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და გდრ-ის გზებზე.

ფეხბურთის მოყვარულები ბევრი საინტერესო საერთაშორისო მატჩის მოწმენი გახდებიან. 16 მაისს მოსკოვში ითამაშებენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდული, ხოლო ლენინგრადში — ჭაბუკთა ნაკრები გუნდები. ერთი დღის შემდეგ პრაღის სტადიონზე გამოვლენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრები გუნდები. საბჭოთა ნაკრები 22 მაისს გამოვა ბრიუსელში, 29 მაისს კი — მოსკოვში ბრაზილიის ერთ-ერთ ნაკრებ გუნდთან სათამაშოდ.

ჩვენი ნორჩი ფეხბურთელები 21 მაისს იუგოსლავიაში უეფა-ს გათამაშების ფინალური ტურნირის სტარტს აიღებენ.

სამ საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ საბჭოთა ჩოგბურთელები. სამივე შეჯიბრება 16 მაისს იწყება: ერთი — ტალინში, მეორე — პრაღასა და მესამე — პარიზში. აქ საბჭოთა სპორტის ღირსებას დაიცავენ ქართველი ჩოგბურთელებიც.

მაისის პირველ რიცხვებში მოსკოვში, თბილისსა და ერევანში იასპარეზებენ გდრ-ისა და სსრ კავშირის უძლიერესი წყალში მხტომელები. თბილისსა და ერევანში გაიმართება ტანმოვარჯიშე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრებები. ამ პერიოდში სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები გაემგზავრება [illegible]-ში, შემდეგ კი — გფრ-ში.

12 მაისს სოხუმში დაიწყება მოშაშეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც სამ კვირას გასტანს.

ჩვენს ქვეყანას ესტუმრებიან თავისუფლების კუნძულის სპორტსმენები, რომლებიც ერთობლივ საწვრთნელ შეხვედრებს ჩაატარებენ მასპინძლებთან. კუბელი წყალბურთელები ივარჯიშებენ მოსკოვში, ხოლო ძიუდოისტები — თბილისში.

გარდა ამისა, გაიმართება მრავალი საინტერესო შეხვედრა უცხოეთის საკლუბო გუნდებთან სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

მოსკოვი. (ჩვენი კორ.).

„ა" კლასი I ჯგუფი

## მატჩები, გოლები, ავტორები

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები შედგა 2 და 3 მაისს.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა როსტოვის მატჩმა, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ გათამაშების ლიდერთა ჯგუფში მყოფი გუნდები — ადგილობრივი არმიელები და კიევის „დინამო". ანგარიში 6:1 კიეველთა სასარგებლოდ, ნამდვილი სიურპრიზია. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ბიბამ (2), ხმელნიცკიმ (2), ბიშევეცმა და პარკუიანმა. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი იყო ბუროვი.

მოსკოვის გუნდების — „სპარტაკისა" და „დინამოს" შეხვედრაში გატანილ იქნა 1 გოლი. მისი ავტორია სპარტაკელთა ნახევარმცველი ამბარცუმიანი.

პირველი დამარცხება განიცადეს ერევნის „არარატის" ფეხბურთელებმა. ლენინგრადში ისინი „დანებდნენ" „ზენიტს" — 0:1. ეს ბურთი სტუმრების კარში გაიტანა სოლოვიოვმა.

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა" საკუთარ მინდორზე წააგო მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან" — 1:3. ტორპედოელთაგან ბურთები გაიტანეს ივანოვმა (2) და შჩერბაკოვმა, მასპინძელთაგან — ჟუკოვმა.

ალმა-ათის „კაირატისა" და ტაშკენტის „პახტაკორის" შეხვედრაში ანგარიში არ გახსნილა.

მინსკის „დინამომ" მიიღო ოდესის „ჩერნომორეცი" და დაამარცხა იგი — 3:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს პოგალნიკოვმა, არზამასცევმა და ადამოვმა. 1 გოლი გაქვითა დერიაბინმა.

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ცსკა და ბაქოს „ნეფტიანიკი". მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. გოლები გაიტანეს კაზაკოვმა (ცსკა) და ი. მელქუმოვმა.

ყველაზე შედეგიანი თავდასხმა ჰყავთ კიეველებს (15 გოლი), მოსკოვის „ტორპედოს" (10) და ქუთაისის „ტორპედოს" (8).

სადღეისოდ ქუთაისის „ტორპედოს" ყველაზე შედეგიანი მოთამაშეებია ჩხარტიშვილი და ნოდია (2-2 გოლი), ხოლო თბილისის „დინამოსი" — ასათიანი და მაისურაძე (2-2 გოლი).

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერები არიან კიევის დინამოელები ბიბა და ბიშევეცი — 4-4 გოლი.

## გამოუყენებელი შესაძლებლობანი

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 2 მაისი.

ასკ (ოდესა) — „დინამო" (თბილისი) 0:0.

ასკ: კარაკოზოვი, ზახაროვი, მანდენჩუკი, კოლბასიუკი, გრებენიკი, პანოვი, პროსიკოკი, სპირიდონოვი, პრიგორკო, სატაევი, ვარგა (ნემიროვსკი).

„დინამო": ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, ხართიშვილი, იამანიძე. დათუნაშვილი, ბარქაია, ასათიანი, მაისურაძე.

მსაჯი ი. პონომარიოვი (კიშინიოვი).

დუბლიორები — 0:0.

ოდესის არმიელთა გუნდს ერთობ არასახარბიელო ბალანსი ჰქონდა სატურნირო ცხრილში თბილისის „დინამოსთან" მატჩის წინ. ამიტომ გუნდმა ყველაფერი იღონა, რათა თუნდაც 1 ქულა აეღო. ამ მიზანს მასპინძლებმა მიაღწიეს, თუმცა მის განხორციელებაში მათ თავისებური „დახმარება" გაუწიეს დინამოელებმაც, რომელთა თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე ნაღდი შესაძლებლობა.

თბილისელებს ანგარიშის გახსნა შეეძლოთ ჯერ კიდევ პირველ ტაიმში, მაგრამ მათი თავდამსხმელები რატომღაც ერიდებოდნენ გადამწყვეტ დარტყმას. შესვენების შემდეგ ოდესელები მცირე ხნით ფლობდნენ ინიციატივას. კარგი პოზიციიდან ბურთი მიზანს ააცილა პრიგორკომ, ძალიან ძნელი ბურთი აიღო ვარგასთან ბრძოლაში ურუშაძემ. შემდგომში კი უპირატესობა კვლავ დინამოელებს ჰქონდათ. აშკარა უპირატესობა! დათუნაშვილს, ბარქაიას, ასათიანს შეეძლოთ მეტოქის კარის აღება, მაგრამ მათი საბოლოო დარტყმები უზუსტო იყო და გუნდი დაჯერდა 1 ქულას.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).



## ქუთაისელები მიიწევენ წინ

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 2 მაისი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „შახტიორი" (დონეცკი) 3:1 (0:0).

„ტორპედო": კვასხვაძე, ლოსაბერიძე. ებრალიძე, სიამაშვილი, ძოძუაშვილი, კუტივაძე, ასიტაშვილი, ვეკუა, ჩხარტიშვილი, ხაჟალია, ნოდია (ერქომაიშვილი).

„შახტიორი": კოროტკიხი, გოლდვკო, ზუბკოვი, სალკოვი, დროზდენკო, მიზერნი, სოროკინი, სტანკიავიჩუსი, ადამოვი, ევსეენკო, ბოსიი.

მსაჯი ლ სარქისოვი (სოჭი).

დუბლიორები — 2:1 ქუთაისელთა სასარგებლოდ.

„შახტიორთან" დღემდე ჩატარებულ ექვს მატჩში ქუთაისის „ტორპედოს" სულ 1 ქულა ჰქონდა აღებული. კიდევ მეტი: მას არც ერთი ბურთი არ გაუტანია ამ 6 შეხვედრაში (10:0 მეშახტეთა სასარგებლოდ).

და აი, ქუთაისელებმა ამჯერად დაარღვიეს ეს ტრადიცია და გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი, ამასთან, „შახტიორის" კარი სამჯერ დაეცა.

მართალია, პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ ტორპედოელთა უპირატესობა აშკარა გახლდათ. დონეცკელთა კონტრიერიშებს მასპინძელთა დაცვა ორგანიზებულად იგერიებდა, სადაც კვლავ ჩადგა მწყობრში გამოცდილი სტოპერი სიამაშვილი.

თავიანთი უპირატესობის განაღდება ქუთაისელებმა შესვენების შემდეგ შეძლეს. სტუმრების კარი განუწყვეტელი იერიშების ობიექტად იქცა და ამ შტურმმა მალე შედეგიც გამოიღო. 55-ე წუთზე ხაჟალიამ მწვავე ორთაბრძოლა მოუგო თავის მეურვეს და ძლიერი დარტყმით გაიტანა პირველი გოლი. 75-ე წუთზე ნოდიამ კარგად გამოიყენა ვეკუას გადაცემა და კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი — 2:0, ხოლო 88-ე წუთზე ერქომაიშვილმა შორი მანძილიდან მეტად ეფექტური დარტყმით მესამედ აიძულა კოროტკიხი ბადიდან გამოეტანა ბურთი.

დიდი ანგარიშით გამარჯვება თითქოს უკვე გარანტირებული იყო, ვინაიდან მატჩის დასასრულს მხოლოდ 2 წუთი უკლდა, როცა სტანკიავიჩუსმა მოულოდნელი დარტყმით შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).





მომენტები განვლილი მატჩიდან ქუთაისის „ტორპედოსა" და დონეცკის „შახტიორს" შორის.

მარცხნივ: ქუთაისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჯ. ხაჟალიამ თავისი გარღვევა დაამთავრა პირველი გოლით...

ქვევით: ერთ-ერთი სახიფათო მომენტი სტუმრების კართან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(ჩვენი სპეც. კორ.).

სათამაშოს ცხრილი — „ა" კლასი I ჯგუფი

მდგომარეობა 4 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 5 | 4 | 1 | 0 | 15—1 | 9 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 5 | 4 | 1 | 0 | 6—1 | 9 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 5 | 3 | 2 | 0 | 10—4 | 8 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 5 | 2 | 3 | 0 | 4—1 | 7 |
| „არარატი" (ერევანი) | 5 | 2 | 2 | 1 | 7—3 | 6 |
| „დინამო" (თბილისი) | 5 | 2 | 2 | 1 | 6—3 | 6 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 5 | 2 | 2 | 1 | 5—4 | 6 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 5 | 1 | 4 | 0 | 3—2 | 6 |
| ასკ (როსტოვი) | 4 | 2 | 1 | 1 | 5—6 | 5 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 5 | 2 | 1 | 2 | 3—6 | 5 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 5 | 2 | 0 | 3 | 8—9 | 4 |
| ცსკა | 5 | 0 | 4 | 1 | 3—5 | 4 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 5 | 2 | 0 | 3 | 2—4 | 4 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 4 | 1 | 1 | 2 | 3—5 | 3 |
| „დინამო" (მინსკი) | 5 | 1 | 1 | 3 | 5—8 | 3 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 5 | 1 | 0 | 4 | 2—8 | 2 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 4 | 0 | 2 | 2 | 1—7 | 2 |
| ასკ (ოდესა) | 4 | 0 | 1 | 3 | 0—6 | 1 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 4 | 0 | 0 | 4 | 1—6 | 0 |

„ა" კლასი II ჯგუფი

2 მაისს გაიმართა „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდების მორიგი მატჩები.

**გომელში** ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და თბილისის „ლოკომოტივი". მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

**ვილნიუსში** თამაშობდნენ ადგილობრივი „ჟალგირისი" და ბათუმის „დინამო". გაიმარჯვეს ბათუმელებმა — 1:0. მასპინძელთა კარში გოლი გაიტანა გიორგაძემ.

• • •

სხვა მატჩები ამ ქვეჯგუფში დამთავრდა ასეთი შედეგებით: „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 0:4, „ბალტიკა" (კალინინგრადი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 1:1, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „თერგი" (გროზნო) 0:0, „რუბინი" (ყაზანი) — „დინამო" (კიროვაბადი) 1:0, „დაუგავა" (რიგა) — „დინამო" (სტავროპოლი) 0:1.

„ბ" კლასი IV ზონა

2 მაისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები რსფსრ-ს „ბ" კლასის IV ზონის გუნდებს შორის.

### ფოთში

„კოლხიდისა" და დერბენტის „უროჟაის" შეხვედრაში თითქმის მთელი 90 წუთის მანძილზე უპირატესობა კოლხიდელებს ჰქონდათ. გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ თავდამსხმელები, რომლებიც ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს „უროჟაის" კართან.

ანგარიში დასაწყისშივე გახსნა ალმასიამ, ხოლო პირველი ტაიმის დასასრულამდე მეორე ბურთი გაიტანა ჯიბლაძემ. შესვენების შემდეგ გამეორდა იგივე ამბავი, ოღონდ, შებრუნებით: მესამე ბურთი გაიტანა ჯიბლაძემ, ხოლო მეოთხე — ალმასიამ. გაიმარჯვა „კოლხიდამ" — 4:0.

ა. ლომაია.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### სოხუმში

ადგილობრივმა დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს მახაჩყალის თანაკლუბელთა გუნდი. მასპინძლებმა სწრაფად შეძლეს საერთო ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება. გუნდი თამაშობდა კოლექტიურად, სწრაფად. ხვარიდოვმა და ფიფიამ თითო ბურთი გაიტანეს სტუმრების კარში და მასპინძლებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი — 2:0.

შ. ჯალაღონია.

(დეპეშით, ჩვენი კორ.).

### მეტოქეთა მინდვრებზე

ჩვენი რესპუბლიკის სხვა გუნდებს 2 მაისს გასვლითი მატჩები ჰქონდათ.

ტყიბულის „მეშახტემ" ფრედ ითამაშა კიროვაკანში ადგილობრივ „ლორთან" — 0:0.

ერევნის „არაქსისა" და რუსთავის „მეტალურგის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ასეთივე ანგარიში იქნა ფიქსირებული პიატიგორსკში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „მაშინოსტროიტელი" და ზუგდიდის „ენგური".



# ორმაგი სალტო თხილამურებით

დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „კვიკმა“ ეს ფოტოსურათი გამოაქვეყნა და ასეთი კომენტარიც დაურთო:

„თითქოს გეჩვენება, რომ მოთხილამურე ციდან ვარდება. მაგრამ მის დაძაბულ ტანს თუ დავუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ იგი კონტროლს უწევს საკუთარ თავსაც და თხილამურებსაც. აი, ასეთი წარმოუდგენელი ნახტომი განახორციელა სამთო-მოთხილამურეთა ავსტრიელმა მასწავლებელმა. ეს ნახტომი მაღალი სპორტული ვაჟკაცობის მაგალითია“.

შემდეგ ჟურნალი დაწვრილებით აღწერს, როგორ გადაწყვიტა ინსბრუკის ახლოს მდებარე პატარა აგარაკის აქზამერ ლიზუმის სამთო-მოთხილამურეთა მასწავლებელმა ერნსტ შმიდმა — შეესრულებინა ორმაგი სალტო თხილამურებით. შმიდმა შარშან შემოდგომიდან გაძლიერებული ვარჯიში დაიწყო. იგი მანამ არჩევდა მთასა და შესაფერის ტრამპლინს, სანამ იმას არ მიაგნო, რაც სჭირდებოდა. 200-800 მეტრის გარბენის შემდეგ ტრამპლინი სპორტსმენს საშუალებას აძლევდა 10 მეტრის სიმაღლემდე ასულიყო და 30-40 მეტრის მანძილზე საათში 50-60 კილომეტრი სისწრაფით ეფრინა.

თავდაპირველად შმიდი ერთ სალტოს ასრულებდა. ორმაგი სალტოს პირველი ცდა წარუმატებელი იყო. სპორტსმენი იძულებული გახდა რამდენიმე დღე საავადმყოფოში გაეტარებინა. რომ გამოჯანმრთელდა, ისევ ტრამპლინს დაუბრუნდა, შეუპოვრად ვარჯიშობდა, დაშვებისას ხშირად წონასწორობას ჰკარგავდა, მაგრამ წარმატების რწმენა მუდამ ჰქონდა.

ახლახან, როგორც იქნა, შმიდმა შეძლო ჰაერში ორმაგი სალტოს განხორციელება და მშვიდობით დაშვება. ნახტომის ყველა დეტალი კინოფირზე აღიბეჭდა. იღბლიანი სალტოს შემდეგ შმიდმა თქვა:

— ახლა ჩემი ამოცანაა, დავასაბუთო, რომ ეს გამარჯვება შემთხვევითი არ იყო.

## ნეკროლოგი

# რ. ვ. გუგუჩია



ტრაგიკულმა შემთხვევამ სიცოცხლე მოუსწრაფა საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს ცხენოსანს, სპორტის ოსტატ რემიკო (კახა) ვარლამის ძე გუგუჩიას. რესპუბლიკის მხედრებმა დაკარგეს უაღრესად თავმდაბალი, ვაჟკაცური ბუნების ამხანაგი.

რ. გუგუჩია დაიბადა 1946 წელს სოფელ კახათში (ზუგდიდის რაიონი). სპორტული საქმიანობა მან ზუგდიდის საცხენოსნო სპორტსკოლაში დაიწყო, 1962 წელს კი გალის სპორტსკოლაში გადავიდა ინსტრუქტორად.

1964 წელს რ. გუგუჩია გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში.

თავისი ხანმოკლე სპორტული ბიოგრაფია ნიჭიერ ცხენოსანს სხვადასხვა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში არა ერთი და ორი გამარჯვებით აღუნიშნავს. იგი წარმატებით გამოდიოდა საკავშირო ჩემპიონატებშიც.

1964 წელს რ. გუგუჩიას მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება. იგი, ამავე დროს, I კატეგორიის მსაჯიც გახდა. ახალგაზრდა, მეტისმეტად პერსპექტიულ ოსტატს ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩა განუხორციელებელი.

რ. გუგუჩიას სახელი დიდხანს დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

ცხენოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია.

რედაქტორი ე. კაკაბაძე.

## ფეხბურთი

ჩემპიონატები. მატჩები. ლიდერები

### „ფოლადის გუნდი“

თუმცა ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტური მომავალ შაბათს ჩატარდება, ჩემპიონი, როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, უკვე ცნობილია. ესაა „ლივერპული“, რომელმაც გასულ შაბათს საკუთარ მინდორზე დაამარცხა ლონდონის „ჩელსი“ — 2:1.

ბრიტანელ სპორტულ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ახალმა ჩემპიონმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. საინტერესოა, რომ მთელი სეზონის მანძილზე მატჩებში მონაწილეობდა მხოლოდ 13 ფეხბურთელი. კარს იცავს გამოცდილი ლოურენსი. დაცვაში თამაშობენ ცნობილი ოსტატები იეტსი და ლოულერი. ჩემპიონს ბრწყინვალე ნახევარმცველები ჰყავს: სტივენსონი და მილნი. თავდასხმაში, რომელმაც 41 ტურში 78 გოლი გაიტანა, თამაშობენ ისეთი სნაიპერები, როგორც ჰანტი, სტრონგი და სენტ-ჯონი, ძლიერი გარემარბები კალაჰანი და ტომპსონი. „ფოლადის გუნდმა“ (ასე უწოდებს ხშირად ბრიტანული პრესა „ლივერპულს“) მეშვიდედ მოიპოვა ინგლისის ჩემპიონის ტიტული. აღსანიშნავია, რომ 11 მაისს „ლივერპული“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში ხვდება „ბორუსიას“ (გფრ).

I ლიგას ტოვებენ „ბლეკბერნ როვერზი“ და „ნორთჰემპტონი“.

აი, ლიდერთა ხუთეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლივერპული“ | 41 | 78:33 | 60 |
| „ბერნლი“ | 40 | 77:46 | 53 |
| „ლიდს იუნაიტედი“ | 38 | 74:35 | 50 |
| „ჩელსი“ | 37 | 59:47 | 46 |
| „ვესტ ბრომ. ალბ“. | 39 | 83:63 | 45 |

(საქ. ინფ.).

### ორი პრეტენდენტი

შოტლანდიის ჩემპიონის ტიტულისთვის კვლავ გლაზგოს ორი გუნდი იბრძვის: „სელტიკი“ და „გლაზგო რეინჯერსი“. შაბათს „სელტიკმა“ გასვლითი მატჩი მოუგო „მორტონს“ — 2:0, ხოლო „გლაზგო რეინჯერსმა“ ქ. დანფერმლაინში დაამარცხა „დანფერმლაინ ატლეტიკი“ — 2:1.

ლიდერთა სამეული ასეთია:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 32 | 103:29 | 53 |
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 33 | 87:29 | 53 |
| „კილმარნოკი“ | 34 | 73:46 | 45 |

(საქ. ინფ.).

## ზედიზედ მესამედ

### იტალიისა და შვეიცარიის ბილიკებზე

გასულ კვირას კვლავ შესანიშნავ გამარჯვებას მიაღწია ცნობილმა მოტოკროსმენმა პ. ფრიდრიქსმა (გდრ): იტალიაში გამართული 500 კბ სმ კლასის მანქანებით მსოფლიო ჩემპიონატის III ეტაპი მოიგო და „იტალიის დიდ პრიზსაც“ დაეუფლა.

საპრიზო ექვსეულში მომდევნო ადგილები დაიკავეს: სმითმა (ინგლისი), ვალეკმა (ჩეხოსლოვაკია), ტიბლინმა (შვედეთი), მატვეევმა და გრიგორიევმა (ორივენი — სსრ კავშირი). საინტერესოა აღინიშნოს, რომ სმითის გარდა, ყველანი ჩეხოსლოვაკიური მოტოციკლებით „ჩზ“ ასპარეზობდნენ. 3 ეტაპის ზედიზედ მოგების შემდეგ ფრიდრიქსი 24 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს.

250 კბ სმ მანქანებით მსოფლიო ჩემპიონატის IV ეტაპი შვეიცარიაში გაიმართა. გაიმარჯვა ბელგიელმა ჟ. რობერმა. II ადგილზეა დობრი (ჩეხოსლოვაკია), III — ჰალმანი (შვეცია). შემდეგ მოდიან იუნსონი (შვეცია), დე კოსტერი (ბელგია) და გ. დრაუგსი (სსრ კავშირი). საპრიზო ექვსეულის მიღმა დარჩნენ საბჭოთა მოტოკროსმენები ლ. შინკორენკო (IX ადგილი) და ა. იაკოვლევი (XVII ადგილი). მსოფლიო ჩემპიონი ვ. არბეკოვი პირველი სერიის დროს დაშავდა და შეჯიბრება აღარ გააგრძელებია.

4 ეტაპის ჯამში დაწინაურდა ჰალმანი — 26 ქულა. II ადგილზეა რობერი — 16 ქულა.

მოტოსპორტი




ამჟამად ყველა ქვეყნის ტანმოვარჯიშეები გაცხოველებით ემზადებიან მსოფლიო პირველობისთვის, რომელიც სექტემბერში გფრ-ში ჩატარდება. სპორტსმენები აზუსტებენ სავალდებულო ვარჯიშებს, ადგენენ ნებისმიერი გამოსვლების პროგრამას, დაუღალავად ხვეწენ ოსტატობას დიდი ასპარეზობის წინ.

ტანვარჯიშის თბილისელი მოყვარულები ამ დღეებში ქალთა გუნდების საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრების მოწმენი გახდებიან: 7-8 მაისს სპორტის სასახლეში გამოვლენ უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები.

ასპარეზობის მონაწილეთა შორის არიან ოლიმპიური თამაშების პრიზიორი მაკრაი, დუცა (ორივენი — უნგრეთი), ევროპის ჩემპიონი შტარკე, შნაიდერსი (ორივენი — გდრ), პოლონელები ეუსტახოვიჩი და ვილჩეკი...

სსრ კავშირიდან შეჯიბრებაში მონაწილეობენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ლ. ლატინინა, პ. ასტახოვა, სპორტის ოსტატები ნ. კუჩინსკაია, ლ. პეტრიკი, ა. ჯანუყაშვილი და სხვ.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ძალოსნობა. უნივერსიტეტის სპორტული დარბაზი. 5-6-7 მაისი. ახალგაზრდა ათლეტთა რესპუბლიკური შეჯიბრება. დასაწყისი 16 საათზე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.